შპს ქართუ-უნივერსალის
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით მდგომარეობით
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

1. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე -2-
2. ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:
   - 2.1 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -7-
   - 2.2 სრული შემოსავლისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება -8-
   - 2.3 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება -9-
   - 2.4 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება -10-
3. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები -11-

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ქართუ-უნივერსალის დამფუძნებლებს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს ქართუ-უნივერსალის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგებისა გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს ქართუ უნივერსალის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტორებად დაგვნიშნეს 2023 წლის 20 თებერვალს და ამიტომ ვერ დავაკვირდით 2022 წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგისა და ნაღდი ფულის ინვენტარიზაციას. ვერ დავრწმუნდით 2021 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგისა და ნაღდი ფულის რაოდენობის სისწორეში სხვა აუდიტორული პროცედურების ჩატარებითაც. ვინაიდან ნაღდი ფულისა და მარაგის საწყისი და საბოლოო ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგებისა განსაზღვრაში, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების და მოგებისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და ნაღდი ფულის მოძრაობის თაობაზე ანგარიშგების კორექტირება.
აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს ქართუ-უნივერსალისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული

აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს ქართუ-უნივერსალის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს შპს ქართუ-უნივერსალის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან შპს ქართუ-უნივერსალის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

• ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

• შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს ქართუ-უნივერსალის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

• ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

• დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს ქართუ-უნივერსალის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს ქართუ-უნივერსალი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

• ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს

თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობეთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების (მუხლი მე-7 ნაწილები მე-2 და მე-6) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

სხვა გარემოებები

შპს ქართუ-უნივერსალის წინა პერიოდების ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი ჩატარებული აქვს სხვა აუდიტორს და გამოთქმული აქვს არამოდიფიცირებული მოსაზრება.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ოთარ ახობაძე (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-117835)

სს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“ (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-564427)

პატივისცემით,

ოთარ ახობაძე

გარიგების პარტნიორი

ხელმოწერა

თარიღი

სს აუდიტორული კომპანია „ალტერ ეგო“

შპს ქართუ-უნივერსალის ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31-Dec-22	31-Dec-21
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	11	657,489	342,776
მოთხოვნები მიწოდებიდან	10	8,312,165	2,523,265
გადახდილი ავანსები		1,704,398	1,026,867
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	9	10,359,090	7,734,335
სხვა მიმდინარე აქტივები		4,103,753	2,245,889
სულ მიმდინარე აქტივები		**25,136,895**	**13,873,132**
ძირითადი საშუალებები	7	20,471,689	19,498,091
სხვა გრძელვადიანი აქტივები	8	139,829	155,223
სულ გრძელვადიანი აქტივები		**20,611,518**	**19,653,314**
სულ აქტივები		**45,748,413**	**33,526,446**
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		12,158,324	2,398,703
მოკლევადიანი სესხები	13	8,189,785	6,784,000
სხვა ვალდებულებები		0	10,854
მიმდინარე ვალდებულებები		**20,348,109**	**9,193,557**
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	13	6,054,063	8,111,342
გრძელვადიანი ვალდებულებები		**6,054,063**	**8,111,342**
სულ ვალდებულებები		**26,402,172**	**17,304,899**
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	12	222,676	222,676
გაუნაწილებელი მოგება		19,123,565	15,998,871
მთლიანი კაპიტალი		**19,346,241**	**16,221,547**
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		**45,748,413**	**33,526,446**

დირექტორი გიორგი ჭყონია

მთ.ბუღალტერი მამუკა ჩემია

შპს ქართუ-უნივერსალის სრული შემოსავლისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *(თანხები მოცემულია ლარში)*

		2022 წელი	*2021 წელი*
შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	14	66,878,061	50,118,362
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-30,295,417	-24,964,365
Gross profit		**36,582,644**	**25,153,997**
ხელფასის ხარჯი	15	-11,477,721	-9,475,474
მიწოდების ხარჯი		-5,976,249	-4,049,548
საიჯარო ქირა		-733,328	-581,881
საკონსულტაციო ხარჯი		-98,703	-78,831
მივლინება და წარმომადგენლობითი ხარჯები		-21,835	-16,170
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		-1,806,435	-2,288,551
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯი		-8,354,010	-5,550,463
EBITDA		**8,114,364**	**3,113,079**
საპროცენტო ხარჯი		-2,206,514	-1,589,779
წმინდა შემოსავალი/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან		1,578,833	1,164,889
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები		-408,853	-84,930
Net profit		**7,077,830**	**2,603,259**
მოგების გადასახადი		-568,925	
Net profit		**6,508,905**	**2,603,259**

დირექტორი გიორგი ჭყონია

მთ.ბუღალტერი მამუკა ჩემია

შპს ქართუ-უნივერსალის ფულადი სახსრების მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *(თანხები მოცემულია ლარში)*

	2022 წელი	**2021 წელი**
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**7,070,023**	**3,145,742**
წმინდა ფულადი სახსრები რეალიზაციიდან	71,602,086	54,416,729
გადახდილი მომწოდებლებზე	-44,750,361	-36,106,562
გადახდილი სხვა ხარჯები	-8,933,287	-7,495,525
გადახდილი გადასახადები	-10,848,416	-7,668,900
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**-2,011,969**	**-1,356,183**
სესხის გაცემა		
გაცემული სესხის მიღება		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-2,011,969	-1,356,183
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	**-4,704,242**	**-1,487,110**
მიღებული სესხი	24,082,204	24,160,147
გადახდილი სესხი და %	-25,621,445	-22,964,857
დივიდენდის გადახდა	-3,165,000	-2,682,400
სავალუტო კურსის ეფექტი		
მოგება/ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	**-39,099**	**-106,680**
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	**314,713**	**195,769**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	**342,776**	**147,007**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	**657,489**	**342,776**

დირექტორი გიორგი ჭყონია

მთ.ბუღალტერი მამუკა ჩემია

შპს ქართუ-უნივერსალის კაპიტალის მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *(თანხები მოცემულია ლარში)*

		მფლობელთა კაპიტალი	**დაგროვილი** მოგება/ ზარალი	სულ
	31-Dec-18	**222,676**	**18,923,685**	**19,156,361**
შენატანები კაპიტალში				0
პერიოდის შემოსავალი			1,429,382	1,419,382
გადახდილი დივიდენდი			(2,262,210)	(2,262,210)
	31-Dec-19	**222,676**	**18,090,857**	**18,313,533**
შენატანები კაპიტალში			0	
პერიოდის შემოსავალი			1,458,544	1,458,544
გადახდილი დივიდენდი			(3,328,526)	3,328,526
	31-Dec-20	**222,676**	**16,220,875**	**16,443,551**
შენატანები კაპიტალში				0
პერიოდის შემოსავალი			2,603,259	2,603,259
გადახდილი დივიდენდი			(2,825,263)	2,825,263
	31-Dec-21	**222,676**	**15,998,871**	**16,221,547**
შენატანები კაპიტალში				0
პერიოდის შემოსავალი			6,508,905	6,508,905
გადახდილი დივიდენდი			3,384,211	3,384,211
	31-Dec-22	**222,676**	**19,123,565**	**19,346,241**

დირექტორი გიორგი ჭყონია

მთ.ბუღალტერი მამუკა ჩემია

შპს ქართუ-უნივერსალის
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

---

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს " ქართუ უნივერსალი " რეგისტრირებულია ვაკის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 25 ივლისის №5/4-1346 დადგენილებით და სამართლებრივად წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში კანონმდებლობის შესაბამისად. საგადასახადო ორგანოს მიერ მინიჭებული აქვს ს/კ 204885874; კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი II ჩიხი №11.

კომპანიის დამფუძნებელი-პარტნიორებია შემდეგი ფიზიკური პირები:

1) 01008000849, გიორგი თოფაძე 20,5%
2) 01008010799, ვლადიმერ გაწერელია 4%
3) 01018000518, ზურაბ კოსტავა 3%
4) 01018003241, გიორგი ჭყონია 4%
5) 01008016933, პაატა ქვლივიძე 2%
6) 01024024666, ლევან კავლელიშვილი 2.4%
7) 01018003215, ვლადიმერ კუხიანიძე 2.4%
8) 01008008045, გიორგი გვასალია 2.4%
9) 01005011697, ირაკლი კანკია 2.4%
10) 01005003998, დავით კიღურაძე 2.4%
11) 01019010260, ქეთევან ბოლქვაძე 0.5%
12) 01024001118, გიორგი თედორაძე 2%
13) 01008009172, ნიკოლოზ სვანიძე 5%
14) 01008026530, ეკატერინე ძაგნიძე 1%
15) 31001008089, ნიკოლოზ სონღულაშვილი 1%
16) 01008004721, ირაკლი თოფაძე 20%
17) 01008005986, გიორგი თოფაძე 20%
18) 01005011547, ოთარი ჭილაძე 1%
19) 01008014210, გიორგი თოფაძე 1%
20) 01008002259, ფატი კაპანაძე 1%
21) 01011060181 მარიამ ჩხარტიშვილი 1% კომპანიის

დირექტორია გიორგი ჭყონია

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ნაყინის წარმოება და მისი რეალიზაცია, კომპანია საქართველოს ბაზარზე ნაყინის რეალიზაციას ახდენს 1996 წლიდან, ზამთრის პერიოდში კომპანია ახდენს ნახევარფაბრიკატების (გაყინული პელმენი, ხინკალი და სხვა ხორცპროდუქტები) დისტრიბუციას.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი ბიზნეს აქტივობები ხორციელდება საქართველოს ფარგლებში. საქართველოსთვის დამახასიათებელია განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლები, მათ შორის ინფლაციის შედარებით მაღალი დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება საგადასახადო, სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად დიდწილად დამოკიდებულია მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ზომების ეფექტურობაზე. მენეჯმენტს არ ძალუძს წინასწარ განჭვრიტოს ყველა ის მოვლენა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, ვერ განსაზღვარვს თუ რა გავლენა ექნება კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი თვლის, რომ იგი იღებს ყველა საჭირო ზომას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების ხელშესაწყობად.

3. ძირითადი ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შეჯამება

მომზადების საფუძვლები.

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (მსს ფასს, IFRS for SMEs) და "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, პირვანდელი ღირებულების კონვენციის შესაბამისად. მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ქვემოთ.

3.1 სამუშაო ვალუტა

„კომპანიის“ სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც „კომპანია“ ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას „კომპანია“ აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.
უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

3,2 ძირითადი საშუალებები

3.2.1 აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების კაპიტალური რემონტის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ „კომპანია“ შედეგად მიიღებს თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება-ზარალში.
ასევე ობიექტური აუცილებლობის შემთხვევაში, ხდება მათი გადაფასება მსს ფასს მე-17 განყოფილების მოთხოვნათა დაცვით.

ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგება-ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის დაჩქარებული მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. მიწას ცვეთა არ ხდება.
სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაა:

შენობა-ნაგებობები	20-30 წლამდე
მანქანები და მოწყობილობები	20 წლამდე
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	6 წლამდე
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	15 წლამდე

3.2.2 აღიარების შეწყვეტა

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება:
(ა) გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან
(ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.
ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსს ფასს სტანდარტის მე-20 განყოფილება – „იჯარა“ - მოითხოვს განსხვავებული მიდგომის გამოყენებას, აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის შემთხვევაში). ასეთი სახის შემოსულობას არ ენიჭება ამონაგების კლასიფიკაცია.
ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა (თუ ასეთი არსებობს) და მის საბალანსო ღირებულებას შორის.

3.3 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით.
შეზღუდული სარგებლობის ვადის მქონე არამატერიალური აქტივებს ცვეთა ერიცხებათ წრფივი მეთოდით მომსახურების პერიოდის გათვალისწინებით.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ამორტიზაცია ერიცხება ასევე წრფივი მეთოდით. ამასთან სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ცალკეული აქტივისათვის ინდივიდუალურად საუკეთესო შეფასების საფუძველზე იმ წინაპირობით, რომ ეს ვადა არ აღემატება 10 წელს.

3.4 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა FIFO ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, დამუშავების ხარჯს, სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.
წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

3.5 ფინანსური ინსტრუმენტები

მსს ფასს მე-11 განყოფილების 11.2 (ბ) პუნქტის შესაბამისად, კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვას აწარმოება ბასს 39-ის მიხედვით.

3.5.1 ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ბასს (IAS) 39-ის მიხედვით, ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები.
ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები იმ თარიღისთვის, რომლითაც „კომპანია“ გახდა ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე ან როდესაც გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებელის გადაცემა ხდება. ნებისმიერი მონაწილეობა გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც „კომპანიამ“ შექმნა ან შეინარჩუნა აღიარდება ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

3.5.2 ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები ბასს (IAS) 39-ის შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები. „კომპანია“ თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

„კომპანიის“ ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას, მოიცავს სესხებსა და გადასახდელ ანგარიშებს და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.
როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება მიიჩნევა საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

3.5.3 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც „კომპანიას“ აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთჩათვლა და აპირებს განახორციელოს ურთიერთგაქვითვა ნეტო საფუძველზე, ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

სამართლიანი ღირებულებით შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომლის მიღება შესაძლებელია აქტივის გაყიდვის შემთხვევაში ან რომელიც გადახდილი უნდა იყოს ვალდებულების გადაცემის შემთხვევაში ჩვეულებრივი გარიგების დროს ბაზრის მონაწილეთა შორის, შეფასების თარიღის მდგომარეობით. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეფუძნება ვარაუდს, რომ აქტივის გაყიდვასთან ან ვალდებულებების გადაცემასთან დაკავშირებულ გარიგებას ადგილი აქვს:
► აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
► ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისათვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.
როგორც ძირითადი, ისე ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს „კომპანიისათვის“. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები

სესხებთან დაკავშირებული ყველა ხარჯი აისახება მათი გაწევის პერიოდში.
სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები შედგება პროცენტისგან და სხვა დანახარჯებისგან, რომლებსაც „კომპანია“ გაიღებს სესხის მისაღებად.

3.6. გადასახადები

3.6.1 მოგების მიმდინარე გადასახადი

ზოგადად მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი საგადასახადო განაკვეთები და კანონები. 2017 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული ე.წ. „ესტონური“

მოდელის შესაბამისად მოგების მიმდინარე გადასახადის გადახდის ვალდებულება „კომპანიას“ არ გააჩნია და იგი დაბეგვრას ახორციელებს კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

3.6.2 დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა:

► თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

► დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების მუხლში.

4. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს.

5. შემოსავლები

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება „კომპანიაში“, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ხორციელდება გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით და გადასახადების ან მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები:

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის აღიარება ხდება მისი კონტრაგენტისათვის მიწოდებისთანავე, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტით.

მომსახურების გაწევა

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ანაზღაურების მიღების ალბათობა მაღალია.

6. აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად.

„კომპანია“ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

► მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;

► ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;

► მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში; ან
► აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.
ყველა სხვა აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

► მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ სამუშაო რეჟიმში;
► ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
► დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
► არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას „კომპანია“ გრძელვადიან კატეგორიას მიაკუთვნებს.

7 ძირითადი საშუალებების მოძრაობა

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებებში იყო შემდეგი:

დასახელება	ნარჩენი ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შემოსვლა	გასვლა	ცვეთა	ნარჩენი ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობი თ
მიწის ნაკვეთები	12,602,922				12,602,922
შენობები	519,710	953,484.21		67,181	1,406,013
ნაგებობები	95,314			12,908	82,406
მანქანა-დანადგარები	4,501,463	193,944	1,833.33	838,788	3,854,785
ოფისის აღჭურვილობა	143,133	150,409	1,306.40	92,497	199,738
ავეჯი და სხვა ინვენტარი	789,233	952,250	709.68	599,556	1,141,217
სატრანსპორტო საშუალებები	846,316	534,974.17	18,200	178,483	1,184,607
სულ ძირითადი საშუალებები	**19,498,091**	**2,785,061**	**22,049**	**1,789,412**	**20,471,690**

8. არამატერიალური აქტივები

დასახელება	ნარჩენი ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შემოსვლა	გასვლა	ცვეთა	ნარჩენი ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ლიცენზიები	127,130	0	0	8,620	118,510
პატენტები	9,744	0	0	2,090	7,654
სხვა არამატერიალური აქტივები	18,350	0	0	4,685	13,665
სულ	**155,224**	**0**	**0**	**15,395**	**139,829**

9. მარაგები

დასახელება	ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საქონელი	4,410,236	2,544,376
ნედლეული და მასალები	4,853,037	4,406,002
დაუმთავრებელი წარმოება	55,050	3,196
მზა პროდუქცია	906,027	519,483
საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატები	134,740	261,278
სულ მარაგები	**10,359,090**	**7,734,335**

10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

შპს „ქართუ უნივერსალი" სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (ლარი)

შინაარსი	ნაშთი2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობ ით	ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობ ით
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	6,552,720	763,819
ანგარიშსწორება საცალო ვაჭრობაში	1,708,900	1,715,895
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	50,545	45,551
სულ	**8,312,165**	**2,523,265**

11 ფული და ფულის ეკვივალენტები

შპს „ქართუ უნივერსალი" ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები (ლარი)

	2022 წელი	2021 წელი
ნაღდი ფული სალაროში	**226,960**	**234,818**
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	226,960	234,818
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	0	
ფული საბანკო ანგარიშებზე	**430,529**	**107,958**

ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	371,637	69,610
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	58,892	38,348
სულ	**657,489**	**342,776**

12 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალში 2021-2022 წლებში ცვლილებები არ განხორციელებულა

13. ვალდებულებები გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხების შესახებ

	2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
მოკლევადიანი სესხები	8,189,785	6,784,000
გრძელვადიანი სესხები	6,054,063	8,111,342
სულ	**14,243,848**	**14,895,342**

14. ამონაგები და შემოსავლები

დასახელება	2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	66,564,364	50,118,362
არასაოპერაციო შემოსავალი	313,697	8,908
სულ შემოსალები	**66,878,061**	**50,127,270**

15. თანამშრომელთა ხარჯები

კომპანიის მიერ 2022 წლის განმავლობაში თანამშრომლებზე ხელფასის სახით გადახდილია 11,477,721 ლარი.

დასახელება	2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
შრომის ანაზღაურება (ხელფასი)	11,477,721	9,475,474
სულ	**11,477,721**	**9,475,474**

16. საანგარიშო პერიოდის შემდეგი მოვლენები

კომპანიაში 2023 წლის განმავლობაში პარტნიორებზე განაწილებულია 13,130,067 ლარი დივიდენდი. 2023 წელს სხვა მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლის აღნიშვნაც აუცილებელი იქნებოდა 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, არ მომხდარა.

მმართველობის ანგარიშგება

2022 წელი

სარჩევი

შესავალი 2

წარდგინება კომპანიის დირექტორისაგან 2

საქმიანობის მიმოხილვა 3

კომპანიის შესახებ 3

რას ვსაქმიანობთ 4

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა 9

კორპორაციული მართვის ანგარიშგება 10

დირექტორის მოკლე ბიოგრაფია 10

სტრუქტურის თავისებურებანი და მაგალითები 10

კომპანიის პოლიტიკა 11

არაფინანსური ანგარიშგება 14

ჩვენი გუნდი 14

ჯანსაღი გარემო შრომისათვის 14

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე 14

კორუფციასთან ბრძოლა 15

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები 15

მმართველობის ანგარიშგება

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი, აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი, მომსახურების სტანდარტები; მოიცავს კომპანიის, როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებსა და რაც ყველაზე მთავარია ფაქტობრივ მაჩვენებლებს კომპანიის განვითარების პოტენციალისა. ამასთან, გიზიარებთ ანალიტიკურ ინფორმაციას იმ ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს საქმიანობისათვის. აღნიშნული დოკუმენტში ასახულია ჩვენი ხედვა, სამომავალო გეგმები და კომპანიაში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები.

წარდგინება დირექტორისაგან

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ შპს ,,ქართუ უნივერსალის" მმართველობის ანგარიშგება. ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გავხადოთ კომპანიის საქმიანობის სპექტრი და ჩვენი მომსახურეობის მოწოდება გავზარდოთ არსებული ბიზნესი, ხარისხისა და ეფექტურობის პარალელურად. ჩვენი რესურსები ორიენტირებულია ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე. ვამაყობ, რომ შპს ,,ქართუ უნივერსალში" გვაქვს კარგად ჩამოყალიბებული მისია, მაღალ ღირებულებებზე დამყარებული ხედვა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა. მადლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ შევეჭიდოთ ნებისმიერ გამოწვევას, რათა მოვიპოვოთ ნდობა და პატივისცემა ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და დასაქმებულებისაგან.

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის შესახებ

შპს “ ქართუ უნივერსალი “ შეიქმნა 1996 წლის 25 ივლისს თბილისის ვაკის რაიონის სასამართლის №5/4-1346 გადაწყვეტილებით და სამართლებრივად წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი II ჩიხი №11.

კომპანიის დამფუძნებელი-პარტნიორებია შემდეგი ფიზიკური პირები:

1) 01008010799, ვლადიმერ გაწერელია 4%
2) 01018000518, ზურაბ კოსტავა 3%
3) 01018003241, გიორგი ჭყონია 4%
4) 01008016933, პაატა ქვლივიძე 2%
5) 01024024666, ლევან კავლელიშვილი 2.4%
6) 01018003215, ვლადიმერ კუხიანიძე 2.4%
7) 01008008045, გიორგი გვასალია 2.4%

8) 01005011697, ირაკლი კანკია 2.4%
9) 01005003998, დავით კიღურაძე 2.4%
10) 01019010260, ქეთევან ბოლქვაძე 0.5%
11) 01024001118, გიორგი თედორაძე 2%
12) 01008009172, ნიკოლოზ სვანიძე 5%
13) 01008026530, ეკატერინე ძაგნიძე 1%
14) 01008004721, ირაკლი თოფაძე 20%
15) 01008005986, გიორგი თოფაძე 20%
16) 01005011547, ოთარი ჭილაძე 1%
17) 01008014210, გიორგი თოფაძე 1%
18) 01008002259, ფატი კაპანაძე 1%
19) 01005011545 ზაზა ჭილაძე -1%
20) 01011060181 მარიამ ჩხარტიშვილი 1%
21) 01008000849, გიორგი თოფაძე 15,5%
22) 01008049145; ლევან თოფაძე - 1%
23) 01008058077; გიორგი სონღულაშვილ - 2%
24) 01008016957; მარიამ თოფაძე - 1%
25) 01008044516; მარიამ თოფაძე -2%
კომპანიის მმართველობითი ორგანოა სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრები არიან:
1) თავმჯდომარე/წევრი: გიორგი თოფაძე, 01008000849
2)წევრი: გიორგი თედორაძე, 01024001118
3) წევრი: გიორგი ჭყონია, 01018003241
4) წევრი: გიორგი თოფაძე, 01008005986
5) წევრი: ლევან კავლელიშვილი, 01024024666
6) წევრი: ირაკლი თოფაძე, 01008004721
კომპანიის დირექტორია გიორგი ჭყონია

კომპანიის საქმიანობა

შპს ,,ქართუ უნივერსალის" ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ნაყინის წარმოება და მისი რეალიზაცია, კომპანია საქართველოს ბაზარზე ნაყინის რეალიზაციას ახდენს 1996 წლიდან, ზამთრის პერიოდში კომპანია ახდენს ნახევარფაბრიკატების (გაყინული პელმენი, ხინკალი და სხვა ხორცპროდუქტები) დისტრიბუციას, კომპანიამ საქონლის წარმოება და რეალიზაცია მნიშვნელოვნად გაზარდა 2012 წლიდან, შესაბამისად გაიზარდა კომპანიის ფინანსური შედეგი, 2014 წლიდიდან კომპანიამ დამფუძნებელ პარტნიორთა გადაწყვეტილებით სისტემატურად დაიწყო დივიდენდების განაწილება.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა

კომპანია ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამორიცხოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა. ჩვენთან თანამშრომლობის პირველი წინაპირობაა, პარტნიორთა საქმიანობაზე, რეპუტაციასა და არსებით დეტალებზე ძირფესვიანი მოკვლევა. პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა და ამ მხრივ ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში კომპანია მიმართავს კომპეტენტურ ორგანოებს მითითებების მიღებისა და ადეკვატური რეაგირებისათვის.

შპს ,,ქართუ უნივერსალი" ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას, აქტიურად თანამშრომლობს მათთან და ცდილობს წვლილი შეიტანოს უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში. დღემდე ამ კუთხით შპს ,,ქართუ უნივერსალში" არ გამოვლენილა არც ერთი უკანონო შემთხვევა, რომელიც განხორციელდა საგადახდო არხების ან მისი საქმიანობის ხელშეწყობით.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კომპანიის სტრუქტურა მაქსიმალურადაა მორგებული ბიზნეს საქმიანობის გამარტივებასა და ეფექტურობაზე, სტრუქტურის თავში გვევლინება დირექტორი გიორგი ჭყონია

დირექტორის მოკლე ბიოგრაფია

- გიორგი ჭყონია შპს ,,ქართუ უნივერსალის" დირექტორად დაინიშნა 2003 წლიდან და არის პროფესიონალი, წარმოებაში მუშაობის დიდი გამოცდილებით.

სტრუქტურის თავისებურებანი და მაგალითები

კომპანიის სტრუქტურა შედგება ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზით დაკავშირებული ქვედანაყოფებისაგან, რომელთაგან ყველა ექვემდებარება დირექტორს ან/და ზედამხედველ სტრუქტურულ ერთეულს. სწორედ ეს დანაყოფები არიან პასუხისმგებელი კომპანიის ოპერაციულ საქმიანობაზე. ნებისმიერი სამსახურისათვის ცალკეულად ყალიბდება პროცედურული დოკუმენტაცია, რომელიც შემდგომ იყოფა თითოეული თანამდებობისათვის მიკუთვნებული ფუნქცია-მოვალეობებისათვის დამახასიათებელი პროცედურის აღწერილობით. ჩვენი სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და განახლებების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უფლება-მოვალეობების ზუსტ გამიჯვნასა და პროცედურული ინსტრუქციების ნათლად გამოსახვას, რათა მოხდეს შესასრულებელი სამუშაოს სრულად დაფარვა, ისე, რომ ეფექტურად იქნეს გამოყენებული ადამიანური თუ მატერიალური რესურსი.

კომპანიის პოლიტიკა

საერთაშორისო რეგულაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით შექმნილი კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვისათვის, კომპანიაში შექმნილია პოლიტიკები, რომლებიც განსაზღვრავენ თანამშრომელთა მოქცევისა და ყოველგვარ დარღვევაზე ადეკვატური რეაგირების წესებს. პოლიტიკებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა:

ინტერესთა კონფლიქტის მართვის პოლიტიკა

პოლიტიკის მიზანია განსაზღვროს არსებული, პოტენციური და შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის ფაქტების განსაზღვრის, მართვისა და აღკვეთის წესები. განმარტოს ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული თემები და დაეხმაროს თანამშრომლებს მათ პრევენციასა და ადეკვატურ რეაგირებაში. კერძოდ:

განსაზღვროს ის სიტუაციები, სადაც შესაძლებელია წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი;

ჩამოაყალიბოს ინტერესთა კონფლიქტის აღმოჩენის, პრევენციისა და მართვის
პროცედურები, მექანიზმები და სისტემები;

დაიცვას კომპანიის, მისი მომხმარებლების, თანამშრომლების, ინვესტორებისა და მომწოდებლების ინტერესები, კონფლიქტის აღმომფხვრელი შესაბამისი ზომების შემუშავებით;

უზრუნველყოს საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციებთან შესაბამისობა.რომელიც გულისხმობს რისკების შეფასებაზე დაფუძნებული მიდგომით ინფორმაციის კლასიფიცირებას, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განსაზღვრას, ინფორმაციისა და ინფორმაციული რესურსების დახარისხებას კონფიდენციალურობის დონის მიხედვით, წვდომისა და გამოყენების სხვა წესების

შემუშავებას. აღნიშნული პოლიტიკის თანახმად, ინფორმაცია იყოფა კონფიდენციალურობის ოთხ კატეგორიად, ესენია - ,, საჯარო“, ,,შიდა მოხმარების“, ,,კონფიდენციალური“ და ,, სრულიად საიდუმლო“.

ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვები/აკრძალვები:

- საქმიანობა დამსაქმებელი კომპანიის გარეთ;
- ნათესაური კავშირები დაქვემდებარებულ თანამშრომელთა შორის;
- აზარტული თამაშებისადმი დამოკიდებულება;
- ნარკოდამოკიდებულება;
- პერსონალური ტრანზაქციები.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

დოკუმენტის მიზანია პერსონალური მონაცემების შესახებ საქართველოს კანონისა და საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, საჭირო პროცესების და რეგულაციების დანერგვა და აღწერა. ამ კუთხით თანამშრომელთათვის აუცილებელი შეზღუდვების დაწესება და ამავდროულად მათი პერსონალური მონაცემთა დაცვა უკანონო და არამიზნობრივი გამოყენებისაგან.

ინფორმაციის კლასიფიკაციისა და მართვის პოლიტიკა

ინფორმაციული რესურსების გამოყენებაზე პრევენციული და დეტექციური კონტროლის გაუმჯობესების მიზნით, საჭიროა ინფორმაციის არქიტექტურული ინფრასტრუქტურის შექმნა, ინფორმაციის მართვა რეგულირდება, აღნიშნული დონეების მიხედვით და მოიცავს ინფორმაციის მარკირების, გადაადგილების, წვდომის მინიჭების, შენახვისა და განადგურების წესებს.

შეტყობინების მართვის პოლიტიკა

პოლიტიკის მიზანია, ხელი შეუწყოს დამსაქმებელ კომპანიაში ისეთი გარემოს ჩამოყალიბებას, სადაც ოპერატიულად იქნება გამოვლენილი და აღკვეთილი ნებისმიერი შეუსაბამობა თუ დარღვევა. სწორედ კომპანიაში დასაქმებული ადამიანები არიან თვითმხილველნი მათ ირგვლივ არსებული დარღვევებისა. პოლიტიკის თანახმად, დამსაქმებელი კომპანია უზრუნველყოფს განმცხადებელი პირის ანონიმურობას, მისი განცხადება განიხილება სრული პასუხისმგებლობით და კონფიდენციალურობის მკაცრი დაცვით.

პარტნიორთა საერთო კრების უფლებებისა და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა

პარტნიორთა კრება კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა, პარტნიორი უფლებამოსილია მართოს კომპანია, როგორც უშუალოდ, ისე წარმომადგენლის საშუალებით. რიგითი პარტნიორთა კრება იმართება წელიწადში ერთხელ, სამეურნეო წლის დამთავრებიდან ორი თვის ვადაში. დამატებითი დეტალები მმართველობითი უფლებამოსილების მქონე ორგანოს შესახებ მოცემულია კომპანიის წესდებაში.

არაფინანსური ანგარიშგება

ჩვენი გუნდი შპს ,,ქართუ უნივერსალში" დასაქმებულია დაახლოებით 750-მდე თანამშრომელი. უამრავი კანდიდატიდან, კომპანია არჩევანს აკეთებს ყველაზე მოტივირებული და მონდომებული პირების სასარგებლოდ. კომპანიის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომელთა გამოვლენას კომპანია ცდილობს ადეკვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემითა და დივერსიფიკაციის პატივისცემით, რომელიც აუცილებლად ახასიათებს ადამიანთა ნებისმიერ ფართო წრეს.

კომპანია იზიარებს და იღებს მის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც ნათლად მიუთითებს კომპანიის შრომის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი.

ჯანსაღი გარემო შრომისათვის

აღსანიშნავია, რომ საქმიანობის დაწყებიდან დღემდე შპს ,,ქართუ უნივერსალი" მიმართ არასოდეს აღძრულა საქმე შრომით დავებთან დაკავშირებით. კომპანია აცნობიერებს, რომ თანამშრომლები კომპანიის წარმატების საწინდარია, ამიტომ ცდილობს განურჩევლად ყველას შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისათვის. აღსანიშნავია, რომ კომპანია მკაცრად იცავს თანამშრომლებისა და მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს, რისკების ადეკვატური დაცვის მექანიზმები პერიოდული გადახედვისა და განახლების საგანია.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, შპს ,,ქართუ უნივერსალი" ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გაითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო.

კომპანიას საკუთრებაში გააჩნია შენობები, ამ შებონებში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა, თანამშრომლებს უტარდებათ ტრენინგი, თუ როგორ მოიქცნენ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და როგორ მოახდინონ სწრაფი რეაგირება სტიქიურ უბედურებებსა და გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე.

შექმნილია ბიზნესის უწყვეტობის მართვის პოლიტიკა და გამოყოფილია საკვანძო თანამშრომელთა ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია კრიზისული სიტუაციის მართვაზე.

კორუფციასთან ბრძოლა

კომპანიის ფარგლებში დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. კომპანია მკაცრად აფასებს ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა კომპანიისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე. ამ სფეროს დასარეგულირებლად შპს ,,ქართუ უნივერსალი" იყენებს, საკმაოდ ვრცელ პოლიტიკას „ინტერესთა კონფლიქტის მართვის თაობაზე“, ხოლო კონკრეტულად განსაზღვრული სტრუქტურული ერთეული ახორციელებს კონტროლს, რათა ნებისმიერი თანამშრომელი და კომპანიის მიერ თუ კომპანიაში განხორციელებული ქმედება იყოს შესაბამისობაში ამ პოლიტიკასთან.

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირი

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი

დირექტორი. გიორგი ჭყონია

შპს ქართუ-უნივერსალის დამფუძნებლებს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს ქართუ-უნივერსალის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი" ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგებისა გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს ქართუ უნივერსალის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტორებად დაგვნიშნეს 2023 წლის 20 თებერვალს და ამიტომ ვერ დავაკვირდით 2022 წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგისა და ნაღდი ფულის ინვენტარიზაციას. ვერ დავრწმუნდით 2021 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგისა და ნაღდი ფულის რაოდენობის სისწორეში სხვა აუდიტორული პროცედურების ჩატარებითაც. ვინაიდან ნაღდი ფულისა და მარაგის საწყისი და საბოლოო ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგებისა განსაზღვრაში, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების და მოგებისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და ნაღდი ფულის მოძრაობის თაობაზე ანგარიშგების კორექტირება.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს ქართუ-უნივერსალისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური

ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს ქართუ-უნივერსალის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს შპს ქართუ-უნივერსალის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან შპს ქართუ-უნივერსალის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს ქართუ-უნივერსალის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს ქართუ-უნივერსალის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ

აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს ქართუ-უნივერსალი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

• ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობეთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების (მუხლი მე-7 ნაწილები მე-2 და მე-6) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

სხვა გარემოებები

შპს ქართუ-უნივერსალის წინა პერიოდების ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი ჩატარებული აქვს სხვა აუდიტორს და გამოთქმული აქვს არამოდიფიცირებული მოსაზრება.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ოთარ ახობაძე (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-117835)
სს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“ (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-564427)

პატივისცემით,
ოთარ ახობაძე
გარიგების პარტნიორი
ხელმოწერა
თარიღი :18.09.2024წ
სს აუდიტორული კომპანია „ალტერ ეგო“

შპს ქართუ-უნივერსალის ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31-Dec-22	31-Dec-21
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	11	657,489	342,776
მოთხოვნები მიწოდებიდან	10	8,312,165	2,523,265
გადახდილი ავანსები		1,704,398	1,026,867
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	9	10,359,090	7,734,335
სხვა მიმდინარე აქტივები		4,103,753	2,245,889
სულ მიმდინარე აქტივები		**25,136,895**	**13,873,132**
ძირითადი საშუალებები	7	20,471,689	19,498,091
სხვა გრძელვადიანი აქტივები	8	139,829	155,223
სულ გრძელვადიანი აქტივები		**20,611,518**	**19,653,314**
სულ აქტივები		**45,748,413**	**33,526,446**
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		12,158,324	2,398,703
მოკლევადიანი სესხები	13	8,189,785	6,784,000
სხვა ვალდებულებები		0	10,854
მიმდინარე ვალდებულებები		**20,348,109**	**9,193,557**
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	13	6,054,063	8,111,342
გრძელვადიანი ვალდებულებები		**6,054,063**	**8,111,342**
სულ ვალდებულებები		**26,402,172**	**17,304,899**
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	12	222,676	222,676
გაუნაწილებელი მოგება		19,123,565	15,998,871
მთლიანი კაპიტალი		**19,346,241**	**16,221,547**
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		**45,748,413**	**33,526,446**

დირექტორი გიორგი ჭყონია

მთ.ბუღალტერი მამუკა ჩემია

შპს ქართუ-უნივერსალის სრული შემოსავლისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *(თანხები მოცემულია ლარში)*

		2022 წელი	*2021 წელი*
შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	14	66,878,061	50,118,362
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-30,295,417	-24,964,365
Gross profit		**36,582,644**	**25,153,997**
ხელფასის ხარჯი	15	-11,477,721	-9,475,474
მიწოდების ხარჯი		-5,976,249	-4,049,548
საიჯარო ქირა		-733,328	-581,881
საკონსულტაციო ხარჯი		-98,703	-78,831
მივლინება და წარმომადგენლობითი ხარჯები		-21,835	-16,170
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		-1,806,435	-2,288,551
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯი		-8,354,010	-5,550,463
EBITDA		**8,114,364**	**3,113,079**
საპროცენტო ხარჯი		-2,206,514	-1,589,779
წმინდა შემოსავალი/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან		1,578,833	1,164,889
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები		-408,853	-84,930
Net profit		**7,077,830**	**2,603,259**
მოგების გადასახადი		-568,925	
Net profit		**6,508,905**	**2,603,259**

დირექტორი გიორგი ჭყონია

მთ.ბუღალტერი მამუკა ჩემია

შპს ქართუ-უნივერსალის ფულადი სახსრების მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *(თანხები მოცემულია ლარში)*

	2022 წელი	**2021 წელი**
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**7,070,023**	**3,145,742**
წმინდა ფულადი სახსრები რეალიზაციიდან	71,602,086	54,416,729
გადახდილი მომწოდებლებზე	-44,750,361	-36,106,562
გადახდილი სხვა ხარჯები	-8,933,287	-7,495,525
გადახდილი გადასახადები	-10,848,416	-7,668,900
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**-2,011,969**	**-1,356,183**
სესხის გაცემა		
გაცემული სესხის მიღება		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-2,011,969	-1,356,183
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	**-4,704,242**	**-1,487,110**
მიღებული სესხი	24,082,204	24,160,147
გადახდილი სესხი და %	-25,621,445	-22,964,857
დივიდენდის გადახდა	-3,165,000	-2,682,400
სავალუტო კურსის ეფექტი		
მოგება/ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	**-39,099**	**-106,680**
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	**314,713**	**195,769**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	**342,776**	**147,007**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	**657,489**	**342,776**

დირექტორი გიორგი ჭყონია

მთ.ბუღალტერი მამუკა ჩემია

შპს ქართუ-უნივერსალის კაპიტალის მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *(თანხები მოცემულია ლარში)*

		მფლობელთა კაპიტალი	**დაგროვილი** მოგება/ ზარალი	სულ
	31-Dec-18	**222,676**	**18,923,685**	**19,156,361**
შენატანები კაპიტალში				0
პერიოდის შემოსავალი			1,429,382	1,419,382
გადახდილი დივიდენდი			(2,262,210)	(2,262,210)
	31-Dec-19	**222,676**	**18,090,857**	**18,313,533**
შენატანები კაპიტალში				0
პერიოდის შემოსავალი			1,458,544	1,458,544
გადახდილი დივიდენდი			(3,328,526)	3,328,526
	31-Dec-20	**222,676**	**16,220,875**	**16,443,551**
შენატანები კაპიტალში				0
პერიოდის შემოსავალი			2,603,259	2,603,259
გადახდილი დივიდენდი			(2,825,263)	2,825,263
	31-Dec-21	**222,676**	**15,998,871**	**16,221,547**
შენატანები კაპიტალში				0
პერიოდის შემოსავალი			6,508,905	6,508,905
გადახდილი დივიდენდი			3,384,211	3,384,211
	31-Dec-22	**222,676**	**19,123,565**	**19,346,241**

დირექტორი გიორგი ჭყონია

მთ.ბუღალტერი მამუკა ჩემია

16. საანგარიშო პერიოდის შემდეგი მოვლენები

კომპანიაში 2023 წლის განმავლობაში პარტნიორებზე განაწილებულია 13,130,067 ლარი დივიდენდი. 2023 წელს სხვა მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლის აღნიშვნაც აუცილებელი იქნებოდა 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, არ მომხდარა.

დირექტორი გიორგი ჭყონია

მთ.ბუღალტერი მამუკა ჩემია